გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი#2

22 თებერვალი 2023 წელი

ქ.ბაღდათი

15.00სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: ზაზა ზივზივაძე

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:

მურად ბურჯანაძე
გიორგი კოტორეიშვილი
ირაკლი გოგსაძე
ზვიად გუმბერიძე
კახა კოხოძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი: ქეთევან კარკაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ფიზიკურ და იურდიულ პირებზე 2022 წელში საიჯარო ხელშეკრულებით გაცემული მიწის ფართობების ოდენობისა და საიჯარო ქირის ამოღების მდგომარეობის შესახებ.

მომხს. ქეთევან კარკაძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“

მომხს. კახა გოგნაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ ზაზა ზივზივაძემ წარმოადგინა საკითხი: მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ფიზიკურ და იურდიულ პირებზე 2022 წელში საიჯარო ხელშეკრულებით გაცემული მიწის ფართობების ოდენობისა და საიჯარო ქირის ამოღების მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა სამსახურის უფროსი: ქეთევან კარკაძემ

კომისიის წევრი: მურად ბურჯანაძემ კითხვით მიმართა ქეთევან კარკაძეს საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში დამატებით ერიცხება თანხები თუ როგორ ხდება თანხების ამოღება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა სამსახურის უფროსი: ქეთევან კარკაძემ განაცხადა, უპასუხა მურად ბურჯანაძეს, რომ საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში ერიცხება საურავები და გადაუხდელობის შემთხვევაში მივმართავთ სასამართლოს

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიამ მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ფიზიკურ და იურდიულ პირებზე 2022 წელში საიჯარო

ხელშეკრულებით გაცემული მიწის ფართობების ოდენობისა და საიჯარო ქირის ამოღების მდგომარეობის შესახებ. მიიღო ცნობის სახით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2 კომისიის თავმჯდომარემ ზაზა ზივზივაძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძემ

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზაზა ზივზივაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“ მიიღოს კომისიამ და გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“ მიიღო კომისიამ და გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით საკითხები ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: ზაზა ზივზივაძე